

დემოკრატიის მე-6 ყოველწლიური კონფერენცია



საპარტევლოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS



National Endowment
for Democracy
Supporting freedom around the world



#GEODEM 2021



**საზოგადოებრივი გამოკითხვები, არჩევნები და
პოპულიზმი: რატომ არ ვენდობით პოლიტიკურ
პროცესებს საქართველოში?**



საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS



**National Endowment
for Democracy**
Supporting freedom around the world

კონფერენციის ანგარიში N2

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით.

პუბლიკაცია მომზადდა „ნაციონალური ფონდი დემოკრატიისთვის“ (NED) მხარდაჭერით. აქ გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა, არ ემთხვეოდეს „ნაციონალური ფონდი დემოკრატიისთვის“ და საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის (GIP) შეხედულებებს.

დოკუმენტის ციტირების წესი:

დემოკრატიის მე-6 ყოველწლიური კონფერენცია (#GEODEM), საზოგადოებრივი გამოკითხვები, არჩევნები და პოპულიზმი: რატომ არ ვენდობით პოლიტიკურ პროცესებს საქართველოში?, კონფერენციის ანგარიში N2, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP), მაისი-ივნისი, 2021.

© Georgian Institute of Politics, 2021
13 Aleksandr Pushkin St, 0107 Tbilisi, Georgia
Tel: +995 599 99 02 12
Email: info@gip.ge

For more information, please visit
www.gip.ge

მოკლე შინაარსი

2021 წლის თვითმმართველობის არჩევნების მოახლოებასთან ერთად, მოუმწიფებლობა და არაპროგნოზირებადობა კვლავ ქართული პოლიტიკის მთავარ მახასიათებლებს წარმოადგენს. მიუხედავად არსებული იმედისა, რომ საქართველო განაგრძობდა სვლას კონსოლიდირებული ლიბერალური დემოკრატიისკენ, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებმა კიდევ ერთხელ გამოააშკარავა ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესის ნაკლოვანებები თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების სტანდარტების დაუცველობის თვალსაზრისით. ქართულ პოლიტიკას, ქვეყნის დამოუკიდებლობის 30 წლის თავზე, კვლავ აწუხებს ოპოზიციური პარტიების მიერ არჩევნების შედეგების მიუღებლობა, პოლიტიკური მიზნებისათვის ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება, არათანაბარი პოლიტიკური გარემო და საარჩევნო ინსტიტუტების მიმართ უნდობლობა.

საარჩევნო პროცესებისადმი საზოგადოებისა და პოლიტიკური ელიტის დაბალი ნდობის ფონზე, მნიშვნელოვანი საკითხია საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები საქართველოში. გასული წლის საპარლამენტო არჩევნებმა აჩვენა, რომ ეს, იდეალურ შემთხვევაში, ობიექტური სოციოლოგიური ინსტრუმენტი, შესაძლოა, პოლიტიკურ ინსტრუმენტადაც იქნეს გამოყენებული. გარდა ამისა, ხშირად მმართველი ძალისა და ოპოზიციის წარმომადგენელი პოლიტიკოსები იმ კვლევების დისკრედიტაციას უწყობენ ხელს, რომელთაც მათთვის პოლიტიკური სარგებელი ვერ მოაქვთ. ეს ტენდენცია კიდევ უფრო დიდ უფსკრულს ქმნის საზოგადოებასა და იმ ინსტიტუტებს შორის, რომლებიც დემოკრატიის ფუნქციონირების აუცილებელ პირობას წარმოადგენენ.

დემოკრატიზაციის პროცესებზე დისკუსიისას, აუცილებელია, დავაკვირდეთ რეგიონულ კონტექსტს და პოპულისტური ნაციონალიზმისა და ევროსკეპტიციზმის ნეგატიურ გავლენას. აღმოსავლეთ პარტნიორობის სამ ქვეყანას - საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინას აქვთ მსგავსი მიზნები და აწყდებიან მსგავს დაბრკოლებებს. განვითარებული დემოკრატიებისგან განსხვავებით, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ნაციონალისტური პოპულიზმის გამოწვევები ხშირად ერწყმის ისეთ არანაკლებ მნიშვნელოვან პრობლემებს, როგორცაა, კარგ მმართველობასა და დემოკრატიულ ინსტიტუტებში არსებული ხარვეზები. ამიტომ, კონფერენციის ფარგლებში განხილულია, თუ რამდენად წარმოადგენს ნაციონალისტური პოპულიზმი სამი ასოცირებული ქვეყნის დემოკრატიზაციისა და ევროპეიზაციის მთავარ გამოწვევას და როგორ ურთიერთქმედებს ის მმართველობისა და დემოკრატიული განვითარების სხვა პრობლემებთან.

აღნიშნული საკითხები დემოკრატიის მე-6 ყოველწლიური კონფერენციის პანელების საკვანძო თემებს წარმოადგენდა. კონფერენცია გახსნა საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა **კორნელი კაკაჩიამ**, ხოლო მესამე პანელს

ხელმძღვანელობდა საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე **რენატა სკარჯუტე-კერესელიძე**. კონფერენციაში მონაწილეობდნენ მოდერატორები: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი **გია ნოდია**, USAID-ის დემოკრატიის, მმართველობის და სოციალური განვითარების ოფისის ხელმძღვანელი **ადამ შმიდტი**, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ოფისის ხელმძღვანელი დოქტორი **შტეფან მაისტერი** და მომხსენებლები: პოლიტიკის მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი ქუინს კოლეჯში **ჯული ჯორჯი**, ლუნდის უნივერსიტეტის (შვედეთი) პოლიტიკური მეცნიერების დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი **ქეთევან ბოლქვაძე**, აღმოსავლეთ ევროპის მრავალპარტიული დემოკრატიის ცენტრის (EECMD) აღმასრულებელი დირექტორი **ლევან ცუცქირიძე**, Civil.ge-ის დამფუძნებელი **ჯაბა დევდარიანი**, საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) პროგრამის დირექტორი **ჯონ დიპირო**, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მისიის დირექტორი საქართველოში **ალან გილაში**, Edison Research-ის ვიცე-პრეზიდენტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში და ვაშინგტონის ფილიალის ხელმძღვანელი დოქტორი **ნინო ჯაფარიძე**, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების (ISFED) აღმასრულებელი დირექტორი **ნინო დოლიძე**, ახალი ევროპის ცენტრის (კიევი) ასოცირებული მკვლევარი **ანნა მედვედევა**, ოსლოს უნივერსიტეტისა და ექსტრემიზმის კვლევის ცენტრის დოქტორანტი პოლიტიკურ მეცნიერებაში **თამთა გელაშვილი** და იუსტუს-ლიბიგის უნივერსიტეტის (გერმანია) პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის მკვლევარი **დენის ცენუზა**.

კონფერენციის ფარგლებში გაჟღერებული მთავარი მიგნებები:

პანელი I: დაბალი ხარისხის არჩევნები საქართველოში: უკურნებელი სენი თუ მოგვარებადი პრობლემა?

- მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში არსებობს მმართველი პარტიის მიერ ხელისუფლების მშვიდობიანად გადაბარების პრეცედენტი, რაც მოიცავს არჩევნებში დამარცხებას, ხელისუფლების დათმობას და პოლიტიკური ლეგიტიმაციისა და დიალოგის შენარჩუნებას. თუმცა, უფრო მეტად მნიშვნელოვანია, რომ ამგვარი პრეცედენტი კვლავ განმეორდეს.
- საჯარო სექტორში პოლიტიკური მიკერძოებულობის სტრუქტურის რღვევა პირველი ნაბიჯია იმისკენ, რომ არჩევნები პოლიტიკური აქტორებისთვის ნაკლები რისკის შემცველი, ნაკლებად პრობლემური და ნაკლებად მნიშვნელოვანი გახდეს.
- პარტიებს მუდმივად უწევთ არაპროგნოზირებად გარემოსთან გამკლავება: განვითარებულ დემოკრატიებში ყოველთვის არსებობს ბუნდოვანება იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ მოიგებს არჩევნებს, ხოლო ჰიბრიდულ რეჟიმებში კი ბუნდოვანია, თუ რა ბედი ეწევა პარტიას არჩევნების წაგების შემთხვევაში.
- პარტიები ორგანიზებული არიან არა სოციალური გამმიჯნავი ხაზებისა თუ პოლიტიკური იდეოლოგიების, არამედ პოლიტიკური ლიდერებისა და ოლიგარქების გარშემო. სწორედ მათი საშუალებით ახერხებენ პარტიები საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობასა და პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვების გზით ეკონომიკური სარგებლის მიღებას.
- საარჩევნო პროცესისადმი საზოგადოების ნდობის გაზრდის თვალსაზრისით, გამოსავალი არის ის, რომ აბსოლუტურად გაიმიჯნოს საარჩევნო ადმინისტრაცია პარტიული კონტროლისგან, რადგან პოლიტიკური პარტიები ვერ ახერხებენ საარჩევნო ადმინისტრაციის გაძლიერებას ისე, რომ ეს მათთვისაც მისაღები იყოს და მოსახლეობისთვისაც გამჭვირვალობა იყოს უზრუნველყოფილი.
- საარჩევნო პროცესის სიჯანსაღისთვის პრობლემაა საარჩევნო კომისიის წევრების შერჩევის ძალიან სუსტი მექანიზმი, ასევე, დაბალი ანაზღაურება საუბნო და საოლქო დონეებზე.
- საინტერესო მოდელი, შეიძლება, იყოს ცენტრალურ საარჩევნო მოხელეზე დაფუძნებული საარჩევნო სისტემა - ერთი ადამიანის დანიშვნა, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ქვეყნის საარჩევნო პროცესებზე.

- მნიშვნელოვანია სამართლიანი ბროკერის არარსებობის საკითხი - ვის ვენდობით, როგორც პიროვნებას ან ინსტიტუტს, რომელსაც შეუძლია, თავისი არსით, გადაწყვიტოს კონფლიქტური ვითარება. ეს, შეიძლება, იყოს საჯარო სამსახური ან უშუალოდ მოქალაქეები.
- ადმინისტრაციისა და მმართველი პოლიტიკური პარტიის მენტალური გამიჯვნა საზოგადოებაში ძალიან სუსტია. ხშირად, მმართველი პარტია განიხილავს საჯარო სამსახურს, როგორც თავისსავე გაგრძელებას.

პანელი II: საზოგადოებრივი გამოკითხვები საქართველოში: როგორ უზრუნველვყოთ ნდობა?

- საზოგადოებრივი აზრის კვლევების მიმართ უნდობლობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ საქართველოში ამგვარი კვლევების ჩატარების პრაქტიკა შედარებით ახალია და საზოგადოების მხოლოდ მცირე ნაწილს აქვს სპეციფიკური ცოდნა იმისთვის, რომ კვლევის შედეგების სწორი ინტერპრეტირება მოახდინოს.
- პოლიტიკური პარტიები, თავიანთ დღის წესრიგზე დაყრდნობით, მანიპულირებენ საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებით. პოლიტიკური პარტიების მხრიდან კვლევები წარმოჩინდება მათივე ინტერესებიდან გამომდინარე. საქართველოს პოლარიზებულ პოლიტიკურ გარემოში, პოლიტიკოსების მხრიდან კვლევების მიმართ დამოკიდებულებას ირეკლავს ამომრჩეველიც, რომელიც მისთვის მისაღები პოლიტიკოსის პოზიციის მიხედვით ენდობა ან არ ენდობა კვლევის შედეგებს.
- მედიის პოლარიზაცია, ასევე, აღრმავებს საზოგადოების მხრიდან კვლევების მიმართ უნდობლობის პრობლემას. ქართულ რეალობაში ხშირია სხვადასხვა მედიასაშუალებების მხრიდან ერთი და იგივე თემის სხვადასხვა კუთხით გაშუქების პრაქტიკა და ეს კვლევების მიმართ მაყურებლის დამოკიდებულებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს.
- საზოგადოებრივი აზრის კვლევებისადმი საზოგადოებრივი ნდობის გაზრდის მიზნით, აუცილებელია, რომ კვლევები მიუკერძოებლად, მკაცრად გაწერილი მეთოდოლოგიისა და წესების მიხედვით იყოს ჩატარებული.
- ორგანიზაციებმა, რომლებიც საზოგადოებრივი აზრის შესწავლის მიმართულებით მუშაობენ, საჭიროა, კვლევის მეთოდოლოგიის შესახებ უფრო მეტი და დეტალური ინფორმაცია მიაწოდონ მოქალაქეებსა და მედიას, რათა თავიდან აიცილონ კვლევის შედეგების არასწორი ინტერპრეტირება.

პანელი III: პოპულისტური ნაციონალიზმი და ევროსკეპტიციზმი: წარმოსახვითი თუ რეალური საფრთხე ასოცირებული ქვეყნებისათვის?

- მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი უკრაინული ნაციონალისტურ-პოპულისტური ჯგუფი აცნობიერებს ქვეყნის ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებულ უპირატესობებს უსაფრთხოების სფეროში, ისინი მაინც მნიშვნელოვნად ეწინააღმდეგებიან ევროპულ ღირებულებებს.
- როგორც უკრაინულმა, ასევე რუსულმა პოპულიზმმა, შესაძლოა, უარყოფითად იმოქმედოს უკრაინის დემოკრატიულ განვითარებასა და ევროინტეგრაციის პერსპექტივებზე;
- უკრაინაში უკრაინული და რუსული პოპულისტური ნაციონალისტების დისკურსები მეტწილად მსგავსია, განსაკუთრებით როცა საქმე ევროინტეგრაციას ეხება.
- ულტრამემარჯვენე აქტორები საქართველოში ძალიან ხშირად იცვლიან შეხედულებებს, ფორმატს, იდეოლოგიას: ვინც დღეს, შეიძლება, მიიჩნეოდეს ნაციონალისტ-პოპულისტად, ხვალ, შესაძლოა, ექსტრემისტ მემარჯვენედ მოგვევლინოს.
- საქართველოში ულტრამემარჯვენე ჯგუფების ხელში შიშის დათესვა ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტია: როდესაც საუბარია ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებზე, ამგვარი აქტორები პარალელურად საუბრობენ პედოფილიისა და ინცესტის დაკანონების, ასევე გვი ქორწინებისა და „გადაგვარების“ საშიშროებაზე.
- მოლდოვაში ძირითადი აქტორები არიან როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე პოპულისტური პარტიები და ისინი უფრო პოპულისტები არიან, ვიდრე ნაციონალისტები.
- ევროპული ინტეგრაცია მთავარ სამიზნეს წარმოადგენს პოპულისტებისთვის, რომლებიც საჯარო სფეროების ხელახლა გასაბჭოებას ცდილობენ;
- სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით მოლდოვაში პოპულისტური ჯგუფები პოპულისტურ დისკურსს ავრცელებენ კორუმპირებული ელიტების წინააღმდეგაც.

პანელი I: დაბალი ხარისხის არჩევნები საქართველოში: უკუჩვენებელი სენი თუ მოგვარებადი პრობლემა?

27 მაისი, 2021

მოდერატორი:	პროფ. გია ნოდია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
მომხსენებლები:	<ul style="list-style-type: none">• პროფ. ჯული ჯორჯი, ასოცირებული პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერებათა დეპარტამენტი, ქუინს კოლეჯი;• დოქტ. ქეთევან ბოლქვაძე, ასისტენტ-პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერებათა დეპარტამენტი, ლუნდის უნივერსიტეტი, შვედეთი;• ლევან ცუცქერიძე, აღმასრულებელი დირექტორი, აღმოსავლეთ ევროპის მრავალპარტიული დემოკრატიის ცენტრი (EECMD);• ჯაბა დევედარიანი, დამფუძნებელი, Civil.ge.

პანელზე დისკუსია შემდეგი ძირითადი შეკითხვების ირგვლივ წარიმართა:

- რატომ ვერ ახერხებს საქართველო თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარებას, რაც უზრუნველყოფდა პოლიტიკური მეტოქეობის გაგრძელებას საკანონმდებლო ორგანოში?
- როგორ მოქმედებს პოლიტიკური კულტურა საქართველოში არჩევნების ჩატარებაზე?
- რა ინსტიტუციური ცვლილებებია საჭირო იმისთვის, რომ მომავალი არჩევნები შესაბამისი დემოკრატიული ხარისხით ჩატარდეს?
- რა იწვევს პოლიტიკურ უნდობლობას მმართველ ძალებსა და ოპოზიციას შორის საქართველოში?
- რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ კონკურენტმა მხარეებმა არჩევნების შედეგები ობიექტურად სცნონ?

პანელის პირველი მომხსენებლის, პროფ. ჯული ჯორჯის თქმით, აშშ-ში, ბოლო წლებში მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით, ძალიან რთულია მოსახლეობის მიმართ ანგარიშვალდებული, კონკურენტუნარიანი დემოკრატიული არჩევნების ჩატარება და შენარჩუნება, მიუხედავად ქვეყნის 200-წლიანი გამოცდილებისა. დემოკრატიის მთლიანი საარჩევნო სისტემა წინააღმდეგობრივი წნეხის ფაქტორებს ეფუძნება, სადაც არჩევნებზე დაფუძნებული დემოკრატიული მმართველობის მთავარ მამოძრავებელ ძალას მმართველი პარტიის მიერ ძალაუფლების შენარჩუნებისკენ სწრაფვა წარმოადგენს. ნებისმიერ სისტემაში ხელისუფლების ძირითადი განზრახვა და მამოძრავებელი ძალა ძალაუფლების სურვილია. დემოკრატიული სისტემა აღნიშნული სურვილის ინსტიტუციონალიზებას ახდენს და მას გარკვეულ შეზღუდვებს უწესებს. პროფ. ჯორჯის მიხედვით, ამის გაკეთების ორი გზა არსებობს. პირველი გზა არის თვითშეზღუდვა

პოლიტიკური ლიდერების მხრიდან, რაც, როგორც წესი, ნაკლებად მოსალოდნელია, რადგან მათ ყოველთვის მიაჩნიათ, რომ ძალაუფლება უნდა შეინარჩუნონ. ალტერნატიულ გზას ინსტიტუტები წარმოადგენენ და, როგორც პროფ. ჯორჯმა აღნიშნა, საქართველოში ინსტიტუტების ჩამოყალიბება დაწყებულია.

მან ასევე დაამატა, რომ ზოგადად, ინსტიტუტები უზრუნველყოფენ გარკვეულ შეზღუდვებს, რომლებიც სტიმულს აძლევს მმართველ პარტიას, დათმოს ხელისუფლება არჩევნებში დამარცხების შემთხვევაში, რამდენადაც, როგორც წესი, სწორედ მმართველ პარტიას აქვს საკმარისი ძალაუფლება იმისთვის, რომ შეცვალოს საარჩევნო ხელმძღვანელობისა თუ საარჩევნო ადმინისტრირების პირობები. საქართველო გამორჩეულია ყოფილი საბჭოთა კავშირის სახელმწიფოებს შორის დემოკრატიული მმართველობის ინსტიტუტების ჩამოყალიბებისკენ სწრაფვის თვალსაზრისით. პროფ. ჯორჯის მოსაზრებით, ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ქართულმა საზოგადოებამ პოლიტიკურ დიალოგში შეამციროს არჩევნებში დამარცხებასთან დაკავშირებული პოლიტიკური რისკები.

მიზეზი, რატომაც მმართველი პარტიები აღიარებენ არჩევნების შედეგების ლეგიტიმურობას დამარცხების შემთხვევაში, არის ის, რომ ამგვარად მათ მომავალში ხელისუფლებაში კანონიერად დაბრუნების შესაძლებლობა ეძლევათ. საქართველოს პირველი ათწლეულის გამოცდილება ნულოვანი ჯამის თამაშის პრინციპს ემყარებოდა, რაც გულისხმობს იმას, რომ პოლიტიკურ პარტიას, ძალაუფლების ერთხელ დაკარგვის შემდეგ, აღარ შეეძლო ხელისუფლებაში დაბრუნება. თუმცა, ახლა ჩვენ გვაქვს მმართველი პარტიის მიერ ხელისუფლების მშვიდობიანად გადაბარების პრეცედენტი - არჩევნებში დამარცხების, ხელისუფლებისგან ჩამოშორებისა და პოლიტიკური ლეგიტიმაციისა და დიალოგის შენარჩუნების სახით. პროფ. ჯორჯის მიხედვით, ეს ძალიან მნიშვნელოვანი მაგალითია, თუმცა კიდევ უფრო მეტად მნიშვნელოვანია აღნიშნული პრეცედენტის გამეორება.

მომხსენებელმა, ასევე, აღნიშნა, რომ საქართველოში საჯარო სექტორის დაწესებულებებში არსებული პოლიტიკური მიკერძოებულობის ნორმა თუ პრაქტიკა ნიშნავს იმას, რომ მმართველი პარტიის მიერ ძალაუფლების დაკარგვას მნიშვნელოვანი და გაუმართლებელი გავლენა აქვს საჯარო სექტორსა და მასში მომუშავე პერსონალზე. საჯარო სექტორში პოლიტიკური მიკერძოებულობის სტრუქტურის რღვევა პირველი ნაბიჯია იმისკენ, რომ არჩევნები პოლიტიკური აქტორებისთვის ნაკლები რისკის შემცველი, ნაკლებად პრობლემური და ნაკლებად მნიშვნელოვანი გახდეს. ჰიბრიდულ და ავტორიტარულ რეჟიმებში, ბევრი პოლიტიკური ლიდერისთვის სისტემის შიგნით შექმნილი კორუფციისა და პატრონაჟის სქემები ხელისუფლებისა და ძალაუფლების შენარჩუნების ძირითად მექანიზმს წარმოადგენს. აღნიშნული კორუფციული სქემების დროული რღვევა გადამწყვეტი მნიშვნელობისაა. თუმცა, ის, ასევე, ზრდის არჩევნებში დამარცხების რისკებს. პროფ. ჯორჯმა ხაზი გაუსვა, რომ საგარეო წნეხი არ არის ზემოთხსენებული პრობლემის მოგვარების გზა. საგარეო აქტორები ელიან, რომ ქართველი ხალხი უფრო მეტად

მოითხოვს დემოკრატიულ განვითარებას და პოლიტიკური ლიდერებიც უზრუნველყოფენ შესაბამისი პოლიტიკის მიწოდებას. თავად იპოვის ბალანსს მოთხოვნასა და მიწოდებას შორის და მოითხოვს დემოკრატიით უზრუნველყოფას ქვეყნის პოლიტიკური ლიდერებისგან. ყოველივე ამისთვის საჭიროა იმის გაცნობიერება, რომ დემოკრატია წარმოადგენს პროცესს და არა ღირებულებას და აღნიშნული პროცესი საზოგადოების ყველა წევრისთვის მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენს - მიუხედავად იმისა ისინი უფრო მეტად კონერვატიულ, უმრავლესობის მხარეს დგანან, თუ რეფორმებისა და პროგრესის მხარეს და მიუხედავად იმისა, თუ რა პოლიტიკურ იდეოლოგიას წარმოადგენენ ისინი - რამდენადაც ყველას თანაბრად უნდა ჰქონდეს ხელისუფლებისკენ სწრაფვის შესაძლებლობა. პროფ. ჯორჯის მიხედვით, დემოკრატიის განვითარებისთვის საჭიროა, რომ პოლიტიკური საზოგადოების ყველა წევრი უფრო მეტად აფასებდეს პროცესს, არა მხოლოდ მოსაზრების თავისუფლად გამოხატვის, არამედ [დემოკრატიის] რეალური გაძლიერების თვალსაზრისითაც.

პირველი პანელის მეორე მომხსენებელმა, **დოქტ. ქეთევან ბოლქვაძემ** აღნიშნა, რომ როდესაც საუბარია საქართველოში წარუმატებელ და არარეგულარულ საარჩევნო ციკლებსა და ამ პრობლემის მოგვარების შესაძლო გზებზე, პირველ რიგში, საჭიროა პრობლემის არსის - პოლიტიკური პარტიების მოტივების სტრუქტურის გაანალიზება. ყველაფერი, რაც არჩევნებამდე, არჩევნების პერიოდში და არჩევნების შემდეგ ხდება, პარტიების ძალიან მოკლევადიანი მოტივების სტრუქტურის ანარეკლს წარმოადგენს, რამდენადაც აღნიშნული სტრუქტურა ამ ეტაპზე პარტიებს გრძელვადიანი ვალდებულებების აღების სტიმულს არ აძლევს. დემოკრატიებში პოლიტიკოსები კონკურენციის წესებს ემორჩილებიან, ან, სულ მცირე, მათგან მოსალოდნელია აღნიშნული წესების მორჩილება. არსებითად, პოლიტიკურ პარტიებს აქვთ გარანტიები, რომ მათი უფლებები დაცული იქნება იმისგან დამოუკიდებლად, თუ ვინ დამარცხდება და ვინ გაიმარჯვებს არჩევნებში.

ამგვარად, **დოქტ. ბოლქვაძე** მიიჩნევს, რომ დემოკრატიული კონკურენციის არაპროგნოზირებადობა საერთო გარანტიების უზრუნველყოფით არის შემსუბუქებული. ამის სანაცვლოდ, პარტიებს მუდმივად უწევთ არაპროგნოზირებად გარემოსთან გამკლავება, რაც გულისხმობს იმას, რომ პოლიტიკური აქტორები მუდმივად დგანან რისკის წინაშე, რომ თამაშის წესები და პოლიტიკური კომუნიკაციის სტრუქტურა შესაძლოა შემდგომ რაუნდებში მნიშვნელოვნად შეიცვალოს. განვითარებულ დემოკრატიებში ყოველთვის არსებობს ბუნდოვანება იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ მოიგებს არჩევნებს, ხოლო ჰიბრიდულ რეჟიმებში კი ბუნდოვანია, თუ რა ბედი ეწევა პარტიას არჩევნების წაგების შემთხვევაში. ყოველივე ეს ქმნის „მანკიერ წრეს“, გამოუვალ მდგომარეობას, რადგან პარტიებმა, რომლებიც კრიტიკას სხვებისკენ მიმართავენ, სინამდვილეში იციან, რომ ძალაუფლების დაკარგვის შემდეგ ისინი თავად გახდებიან სხვა აქტორების სამიზნეები. არჩევნები იქცევა შეჯიბრად, რომლის წაგებაც მასში მონაწილე მხარეებს ძვირად უჯდებათ.

ხელისუფლების დაკარგვის შიში, ასევე, მნიშვნელოვნად ამოკლებს მმართველი პარტიების დროით პერსპექტივას და კიდევ უფრო ამძაფრებს მათ ძალაუფლებაზე ჩაბლაუჭების სურვილს, საჯარო რესურსების პოლიტიზებასა და ადმინისტრაციული რესურსების არამიზნობრივად გამოყენებას, რასაც საქართველოში რეგულარული ხასიათი აქვს. იგივე შეიძლება ითქვას სხვა პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოებზეც. მეორე მხრივ, დაპირისპირებული პოლიტიკური პარტიები მტაცებლურ ქცევას მიმართავენ და საჯარო რესურსებს პირადი გამდიდრების მიზნით იყენებენ.

დოქტ. ბოლქვაძის მიხედვით, ხელისუფლების დაკარგვის საფრთხის წინაშე მდგარი მმართველი ელიტები შიშობენ, რომ პოლიტიზებული სამართლის სისტემის, პოლიტიზებული ბიუროკრატისა და პოლიტიზებული პოლიციის მეორე მხარეს აღმოჩნდებიან. აღნიშნულმა შიშებმა, როგორც წესი, ბიძგი უნდა მისცეს ხელისუფლებას, გაათავისუფლონ სახელმწიფო ინსტიტუტები პოლიტიკური ზეწოლისგან მომავალში საფრთხის თავიდან აცილების მიზნით. მაგალითისთვის, მმართველი ელიტები დღეს ახდენენ პოლიტიკური კურსის დეპოლიტიზებას, რათა თავი დაიზღვიონ პოლიტიზებული სასამართლო სისტემისგან ხვალ, როდესაც ისინი თავად აღმოჩნდებიან ოპოზიციაში. თუმცა, არსებობს ერთი ძალიან მნიშვნელოვანი წინაპირობა. კერძოდ, პარტიებს უნდა ჰქონდეთ ოპოზიციაში გადასვლის შემდეგ პოლიტიკური მომავლის გადარჩენის მოლოდინი იმისთვის, რომ გრძელვადიან თავის დაზღვევაზე იფიქრონ. საქართველოსა და პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოების უმეტესობაში მოქმედი პოლიტიკური პარტიები ამჟამად გრძელვადიან არჩევანზე არ ფიქრობენ. მათ აქვთ მოკლევადიანი ხედვა და სახელმწიფო ინსტიტუტებს პარტიული მიზნებისა თუ პირადი გამდიდრებისთვის იყენებენ.

ამგვარად, დოქტ. ბოლქვაძეს მიაჩნია, რომ კონკურენტუნარიანი არჩევნების უპირატესობების სრულად გამოსაყენებლად, დასავლელმა დონორებმა და პარტნიორებმა, ისევე, როგორც ადგილობრივმა აქტივისტებმა ხელი უნდა შეუწყონ ზემოთ ნახსენები საერთო გარანტიების შექმნასა და შეთანხმების დადებას იმის შესახებ, რომ არჩევნებში გამარჯვებული ძალა არ დაუპირისპირდება და არ ეცდება ოპოზიციური ძალების პოლიტიკურად განადგურებას. მართალია, პირობითობის პრინციპი და დასვლეთისგან მომდინარე წნეხი, შესაძლოა, არ იყოს პრობლემის გრძელვადიანად მოგვარების გზა, თუმცა, სამწუხაროდ, არსებული სიტუაციის გათვალისწინებით, ეს უკანასკნელი წარმოადგენს სულ მცირე მოკლევადიან სტიმულს პროცესის დასაწყებად და პარტიებისთვის გარკვეული მოტივების სტრუქტურის შესაქმნელად.

დოქტ. ბოლქვაძის მიხედვით, საქართველოში ერთ-ერთ ძირეულ პრობლემას წარმოადგენს ის, რომ პარტიები ორგანიზებული არიან არა სოციალური გამმიჯნავი ხაზებისა თუ პოლიტიკური იდეოლოგიების, არამედ პოლიტიკური ლიდერებისა და ოლიგარქების გარშემო. სწორედ მათი საშუალებით ახერხებენ პარტიები საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობასა და პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვების გზით ეკონომიკური სარგებლის მიღებას. ამგვარად, მეტი მუშაობაა საჭირო შიდაპარტიული

დემოკრატიისა და აქტივიზმის ბაზის გაძლიერების მიმართულებით, რათა პარტიაში წამყვან პოზიციებზე წვდომის შესაძლებლობა მეტ ადამიანს მიეცეს. დოქტ. ბოლქვაძის აზრით, ეს პრობლემის მოგვარების გრძელვადიანი გზაა და გულუბრყვილობა იქნება იმის დაჯერება, რომ ყოველივე ამის გაკეთება რამდენიმე წელშია შესაძლებელი.

პანელის მესამე მომხსენებლის, **ლევან ცუცქირიძის** თქმით, არჩევნების დემოკრატიულად და სანდოდ ჩატარების თვალსაზრისით, საარჩევნო პროცესების ადმინისტრირების საკითხი არის ერთ-ერთი საკვანძო საკითხი. საქართველოს შეუძლია, გაიზიაროს საკუთარი ნეგატიური გამოცდილება 30 წლის განმავლობაში, ასევე, ისწავლოს საერთაშორისო გამოცდილებიდან. არსებობს რამდენიმე პრობლემა იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არსებობს უნდობლობა და შედეგების აღიარების პრობლემა საქართველოში. ერთ-ერთი პირველი არის ის, რომ საარჩევნო ადმინისტრაცია ერთპარტიულ კონტროლს ექვემდებარება. მმართველ პარტიას ყოველთვის აქვს იმის შესაძლებლობა, რომ ერთპარტიულად ეფექტურად მართოს საარჩევნო ადმინისტრაცია. აქვე შევხვდებით სხვა პარტიების ნეგატიურ მოტივებს: დღევანდელი მოწყობა და თუნდაც განსახილველი ვარიანტები გულისხმობს, რომ ამა თუ იმ პარტიას შეუძლია, ეფექტურად მოახერხოს საარჩევნო პროცესების მიმართ ნდობის შერყევა და გადაწყვეტილების მიღების გართულება.

მომხსენებლის აზრით, დამატებითი პრობლემაა დაბალი საკვალიფიკაციო მოთხოვნები საარჩევნო კომისიის წევრებისთვის და შერჩევის ძალიან სუსტი მექანიზმი, ასევე, დაბალი ანაზღაურება, განსაკუთრებით, საუბნო და საოლქო დონეებზე. ცუცქირიძე გამოწვევად აღიქვამს იმას, რომ კანონმდებლობის სწრაფი ცვლილების შედეგად, საარჩევნო კომისიების წევრები სწრაფად იცვლებიან და მათი გადამზადება იმდენად რთულ პროცესთანაა დაკავშირებული, რომ ხშირად კომისიები მოუმზადებლები ხვდებიან საარჩევნო პროცესებს. პრობლემაა ანგარიშვალდებულების მანკიერი მექანიზმი, რომელიც გულისხმობს, რომ რეალურად პოლიტიკური პარტიის მიერ დანიშნული ადამიანები არავის წინაშე არ არიან ანგარიშვალდებული.

ლევან ცუცქირიძე გვთავაზობს პრინციპებს, თუ როგორ შეიძლება ხსენებული პრობლემების გადაჭრა, თუ ამისთვის საკმარისი პოლიტიკური ნება იქნება. პირველ რიგში, აუცილებელია, ვაღიაროთ, რომ კოლეგიური სისტემა, რომელიც დღეს არსებობს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, არ მუშაობს. გამოსავალი კი არის ის, რომ აბსოლუტურად უნდა გაიმიჯნოს ადმინისტრირების პროცესი პარტიული კონტროლისგან, რადგან პოლიტიკური პარტიები ვერ ახერხებენ საარჩევნო ადმინისტრაციის გაძლიერებას ისე, რომ ეს მათთვისაც მისაღები იყოს და მოსახლეობისთვისაც გამჭვირვალობა იყოს უზრუნველყოფილი. ასევე, მნიშვნელოვანია საარჩევნო კომისიის პროფესიონალიზაცია და პროფესიონალების დამოუკიდებელი და ზეპარტიული პრინციპით შერჩევა.

ცუცქირიძის მოსაზრებით, აუცილებელია, რომ თანამშრომლები რეალურად იყვნენ ანგარიშვალდებული ცესკოს მიმართ. მომხსენებელმა მაგალითად მოიყვანა სახალხო დამცველის აპარატი, სადაც შერჩევა ხდება საპარლამენტო უმრავლესობის მიერ ზეპარტიული პრინციპით და დღეს ეს ორგანიზაცია ცესკოსთან შედარებით მეტი ნდობით სარგებლობს.

კიდევ ერთ გამოსავლად საარჩევნო პროცესის გაჯანსაღებისთვის დასახელდა საარჩევნო პროცესების ავტომატიზაცია იქ, სადაც ეს შესაძლებელია, და ამ გზით ინტერპრეტაციის სივრცის შემცირება, რათა მაქსიმალურად ბევრი გადაწყვეტილების მიღება იყოს ავტომატიზებული და თვითნებური განმარტების შესაძლებლობა იყოს დაბალი. ასევე, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა - თუნდაც ხმების დათვლის საკითხები იყოს მაქსიმალურად ავტომატიზებული.

ლევან ცუცქირიძისთვის ერთ-ერთი საკვანძო საკითხია, ასევე, ის, რომ მიუხედავად იმისა, რომ რეფორმები ითვალისწინებს გარკვეულ ცვლილებებს შერჩევისა და პროპორციების შემოტანის თვალსაზრისით, საჭიროა უფრო რადიკალური გამოსავალი, რამდენადაც ძირეულ პრობლემებს დაინიცირებული რეფორმა ფუნდამენტურად მაინც ვერ მოაგვარებს. გარდა იმისა, რომ პარტიები სრულად უნდა გაემიჯნონ საარჩევნო ადმინისტრაციის მართვის პროცესებს, მნიშვნელოვანია, რომ კონსენსუსი „დავამალოთ“ პარტიებს ისეთ საკითხებში, როგორცაა საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის შერჩევა და ცესკოს დაკომპლექტება. ამ მიმართულებით, მომხსენებლის აზრით, არის შესაძლებლობა, რომ ცოტა ინოვაციურად ვიფიქროთ, მაგალითად ცესკო დაკომპლექტდეს ორმაგი უმრავლესობით.

და ბოლოს, ასევე საინტერესო მოდელი შეიძლება იყოს ცენტრალურ საარჩევნო მოხელეზე დაფუძნებული საარჩევნო სისტემა - ერთი ადამიანის დანიშვნა, რომელიც იქნება საქართველოში საარჩევნო პროცესების პასუხისმგებელი ხელმძღვანელი და მმართველი, რადგან 12-კაციანი ცესკო თავის საქმეს რეალურად თავს ვერ ართმევს. ლევან ცუცქირიძის აზრით, ესენია ის პრინციპები, რომლებიც გააჯანსაღებდა ცესკოს მუშაობას საქართველოში.

პირველი პანელის ბოლო მომხსენებელმა, **ჯაბა დევდარიანმა** გააგრძელა წინა მომხსენებლის თემა და შეაფასა არჩევნების მიმართ ნდობის დინამიკა. მან აღნიშნა, რომ იყო პერიოდი, როდესაც ნდობა იყო ძალიან დაბალი, თუმცა შემდეგ რეფორმების შედეგად ეს ნდობა გაიზარდა და ახლა, თითქოს, ნდობის შემცირების კიდევ ერთი ტალღის მომსწრენი ვხდებით. საინტერესოა, რა განაპირობებს ამ ცვალებადობას. მომხსენებელმა გამოყო ორი თემა: ტექნიკური საკითხები, სადაც გარკვეული საკითხები, შესაძლოა, გაუმჯობესდეს, მაგალითად, საარჩევნო სიები, კომისიების დაკომპლექტება. და მეორე, უფრო მეტად პოლიტიკურ პროცესთან დაკავშირებული თემა. ამ კონტექსტში, ნდობა, შეიძლება ითქვას, რომ არ გაზრდილა. შესაბამისად, მომხსენებელმა დასვა შეკითხვა: რა შემთხვევაში ენდობა მოსახლეობა არჩევნებს და მათ შედეგებს? ძირითადად, ეს მხოლოდ

მაშინ ხდება, როდესაც არჩევნების შედეგები გადაწყვეტილია არჩევნებამდე, ანუ ვიცით, ვინ გაიმარჯვებს, განსაკუთრებით რევოლუციური ან რადიკალური ცვლილებების შემთხვევაში.

უმთავრეს პრობლემად ჯაბა დევდარიანი სამართლიანი ბროკერის არარსებობის საკითხს ხედავს - ვის ვენდობით, როგორც პიროვნებას ან ინსტიტუტს, რომელსაც შეუძლია, თავისი არსით, გადაწყვიტოს კონფლიქტური ვითარება. მომხსენებლის აზრით, დემოკრატიულ სისტემაში ორი ასეთი აქტორი შეიძლება არსებობდეს: სამოქალაქო სამსახური, ანუ საჯარო სამსახური, ან თავად მოქალაქეები, მოქალაქეების ერთობა.

იმისთვის, რომ აღნიშნული ორი ელემენტი ჩავრთოთ საარჩევნო სისტემისადმი ნდობის უზრუნველყოფაში, ორი რამის გაცნობიერებაა საჭირო. პირველ რიგში, საჯარო მართვა ემსახურება სახელმწიფოს და არა პარტიას. ცხადია, რომ მენტალური გაყოფა საზოგადოებაში ადმინისტრაციასა და მმართველ პოლიტიკურ პარტიას შორის ძალიან სუსტია. ხშირად მმართველი პარტია საჯარო სამსახურს განიხილავს, როგორც მის გაგრძელებას, რაც რეალობაში ასე არ უნდა იყოს. ამ შეგნების მშენებლობას სჭირდება საკანონმდებლო მხარე და პრეცედენტზე დაფუძნებული აღქმა იმისა, თუ როგორ უნდა ფუნქციონირებდეს საჯარო სამსახური, როგორც დამოუკიდებელი არბიტრი.

ჯაბა დევდარიანი ამ კომპონენტის მოქალაქეების ფაქტორთან დაკავშირებას შეეცადა: მისი მოსაზრებით, ამ ეტაპზე სხვადასხვა კონფლიქტში შესული პარტიებისგან დაკომპლექტებული პროცესი, მათი კონფლიქტის ხარისხიდან გამომდინარე, ძალიან ამძიმებს სისტემას და ძალთა ბალანსი ხშირად იხრება მმართველი პოლიტიკური ძალის სასარგებლოდ, შესაბამისად, ეს პრინციპი არ ფუნქციონირებს. ერთი და იდენტიფიცირებადი საჯარო მოხელის, როგორც საარჩევნო პროცესების წარმმართველი ინსტიტუტის, არსებობა შეიძლება იყოს გამოსავალი, თუმცა, ამ მოხელესაც სჭირდება საზოგადოების ნდობა, რაც თავისთავად არ არსებობს. საჭიროა, რომ ეს ნდობა გაიზარდოს რაიმე მექანიზმებით და, ამავდროულად, მისი პასუხისმგებლობა იყოს შეზღუდული კონკრეტულ ტექნიკურ საქმიანობამდე.

თუმცა, უმთავრესი რამ, რაც, დევდარიანის აზრით, ამ ნდობას გაზრდის, არის ის, რომ მოქალაქეები უშუალოდ ჩაერთონ საარჩევნო პროცესის ყველაზე სადაო ნაწილში - ხმების დათვლაში. ამ იდეის წარმატებულ მაგალითად მომხსენებელს მოჰყავს საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნები, სადაც ეს სისტემა სწრაფად მუშაობს და კონკრეტულ თემში იზრდება ნდობა საარჩევნო პროცესისადმი.

მომხსენებლების გამოსვლის შემდეგ გამართული კითხვა-პასუხის ფარგლებში, კიდევ უფრო კარგად გამოიკვეთა, რომ საკანონმდებლო ცვლილებები, როგორც ერთგვარი ოქროს ფორმულა, ძალიან მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ შეიქმნას ნორმატიული ჩარჩო პოლიტიკური პარტიებისთვის პოლიტიკური კულტურის გასავითარებლად. თუმცა, ეს საკითხი არ არის ერთადერთი პრობლემა და არ არის საკვანძო.

უფრო მეტად პრობლემა ჩნდება კანონმდებლობის აღსრულებასთან დაკავშირებით, რადგან არსებობენ ადამიანები, რომლებსაც არ სურთ უკვე მიღებული კანონების აღსრულება. მათთვის დემოკრატია არის საშუალება, რომ გაიმარჯვონ არჩევნებში და სანამ ეს ასე იქნება, ნდობა არჩევნებისადმი ვერ გაიზრდება და გასაგებიცაა, რომ ადამიანები არ ენდობიან სისტემას. მომხსენებლების აზრით, საჭიროა იმის გააზრებაც, რომ, კანონმდებლობის ცვლილებებთან ერთად, აუცილებელია პოლიტიკური კულტურის ტრანსფორმაციაც, რაც გრძელვადიანი პროცესია. ამავდროულად, სანამ მმართველი პარტია თავის სასარგებლოდ იყენებს სამ კომპონენტს - მედიას, სასამართლოს და ადმინისტრაციულ რესურსს - მანამდე არჩევნების ლეგიტიმაციის პრობლემა მუდმივად იქნება.

დისკუსიის ფარგლებში, ასევე, დაისვა საკითხი ევროპული მედიაციის ცენტრალური მნიშვნელობის შესახებ ქართული პოლიტიკური პროცესებისთვის. კითხვაზე, არის თუ არა ეს კომპონენტი პრობლემური საკითხი ქართული პოლიტიკისთვის, მომხსენებლები თანხმდებიან, რომ მედიაცია თავისთავად არ არის ნეგატიური მოვლენა, რადგან ქართულმა პოლიტიკურმა ელიტამ კომპრომისის არსი გაიაზრა, და მიხვდა იმას, რომ გამყოფი ხაზების გამდაფრება პრობლემურია. თუმცა, მედიაციის საჭიროება ნამდვილად არის პრობლემა იმ თვალსაზრისით, რომ მოქალაქეებმა დაინახეს, რომ პოლიტიკური ელიტა უფრო მეტად ანგარიშვალდებული შეიძლება იყოს ევროპულ საზოგადოებასთან, ვიდრე საკუთარ ამომრჩეველთან. უმჯობესი იქნებოდა, რომ ქართულ პოლიტიკურ ძალებს თავად მოეხერხებინათ გარკვეულ საკითხებზე შეთანხმება.

პანელი II: საზოგადოებრივი გამოკითხვები საქართველოში: როგორ უზრუნველყოთ ნდობა?

2 ივნისი, 2021

მოდერატორი:	ადამ შმიდტი, USAID-ის დემოკრატიის, მმართველობის და სოციალური განვითარების ოფისის ხელმძღვანელი.
მომხსენებლები:	<ul style="list-style-type: none"> • ჯონ დიპირო, საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი (IRI); • ალან გილამი, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI); • დოქტ. ნინო ჯაფარიძე, Edison Research; • ნინო დოლიძე, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED).

პანელზე დისკუსია შემდეგი ძირითადი შეკითხვების ირგვლივ წარიმართა:

- რატომ არის საზოგადოებრივი კვლევა მნიშვნელოვანი? ვის ემსახურება ის?
- რა შეიძლება გაკეთდეს, რომ ეგზიტპოლების მიმართ ნდობა არ დაიკარგოს?
- იმის გათვალისწინებით, რომ ხდება საზოგადოებრივი აზრისა და ეგზიტპოლების პოლიტიზება, როგორ უნდა გაერკვეს ქართველი ამომრჩეველი იმ სურათში, რომელიც მათ წინაშე წარმოდგენილი?
- შესაძლებელია თუ არა, რომ პოლიტიკოსების მიერ კვლევების დისკრედიტაციის მცდელობამ ძირი გამოუთხაროს არაპარტიული კვლევების როლს ქართული დემოკრატიის განვითარებაში?
- როგორ შეიძლება საზოგადოებრივი კვლევების პოლიტიზირების თავიდან აცილება?

პანელის პირველმა მომხსენებელმა, **ჯონ დიპირომ**, IRI-ის მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის სამი ძირითადი მიმართულება გამოკვეთა: პირველი - ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების დინამიკის ხანგრძლივ პერიოდში დაკვირვება; მეორე - ცენტრალურ თუ ადგილობრივ დონეზე მთავრობის მიმართ საზოგადოებრივი განწყობების შეფასება; და მესამე - ეროვნულ დისკურსში წინ წამოწეულ ახალ საკითხებთან მიმართებით საზოგადოებრივი აზრის შეფასება. დიპიროს განცხადებით, აღნიშნული კვლევების მიზანი საზოგადოებრივი განწყობების შესახებ პოლიტიკოსებისთვის და თავად საქართველოს მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდებაა. მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ IRI-ის ყველა კვლევა არის დამოუკიდებელი და ორგანიზაცია კვლევას მიუკერძოებლად, მკაცრად გაწერილი მეთოდოლოგიისა და წესების მიხედვით ატარებს.

ამასთან, თავის გამოსვლაში, დიპირო შეეხო კვლევების მიმართ უნდობლობის საკითხს და აღნიშნა, რომ პოლიტიკური პარტიების მხრიდან საზოგადოებრივი აზრის კვლევების

შედეგების მიმართ მიმართული კრიტიკა თავად პოლიტიკური პარტიების ინტერესებიდან მომდინარეობს. კერძოდ, ყველა პოლიტიკური პარტია მოქმედებს საკუთარი ინტერესების მიხედვით და ამ გამოკითხვების შედეგად, ისინი საკუთარ პოზიციებს აძლიერებენ.

დიპირომ, ასევე, ისაუბრა პოლიტიკური პარტიების მხრიდან საზოგადოებრივი კვლევების ჩატარების პრაქტიკაზე და იმ ნეგატიურ შედეგებზე, რომელიც ამგვარ კვლევებს თან სდევს. მისი განცხადებით, ძალიან ხშირად პოლიტიკური პარტიები თავის ინდივიდუალურ გამოკითხვებს ატარებენ და არასამეცნიერო მეთოდოლოგიის გამოყენების გამო, ამგვარი კვლევის შედეგები შეიძლება არაობიექტურ რეალობას აჩვენებდეს. პოლიტიკური აქტორების მხრიდან ამ მონაცემების ბოროტად გამოყენების შემთხვევაში, ამან შეიძლება გაუთვალსწინებელი პოლიტიკური შედეგი მოიტანოს.

საზოგადოებრივი აზრის კვლევების მიმართ მოსახლეობის ნდობის გაზრდის თვალსაზრისით, ჯონ დიპირომ გამოკვეთა მოქალაქეებისთვის და მედიისთვის კვლევების მეთოდოლოგიის შესახებ მეტი ინფორმაციის მიწოდების აუცილებლობა. მისი განცხადებით, კვლევითმა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ საზოგადოების სხვადასხვა დემოგრაფიული ჯგუფების უკეთესად ინფორმირებულობა კვლევის მეთოდოლოგიის შესახებ, რათა საზოგადოებამ, განსაკუთრებით კი მედიამ, იცოდეს, თუ როგორ მოხდეს ამ ინფორმაციის სწორი ინტერპრეტირება, მონაცემთა შეცვლისა და დამახინჯების გარეშე.

პანელის მეორე მომხსენებლის, **ალან გილამმის** განცხადებით, NDI-ის ძირითადი მიზანი არის იმის გამოკვეთა, თუ რა აწუხებს საზოგადოებას. მან აღნიშნა, რომ, ამავდროულად, NDI-ის მთავარი ამოცანაა, დაეხმაროს პოლიტიკურ აქტორებს, უკეთ გაერკვნენ საზოგადოებრივი აზრის დინამიკაში, იმისათვის, რომ მათ თავიანთი პოლიტიკის მიმართულეები სათანადოდ ჩამოაყალიბონ. ამასთან, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ჭკვიანი და გამოცდილი პოლიტიკოსები აუცილებლად სათანადოდ აფასებენ ამ მონაცემებს და უყურებენ მას, როგორც მზა პაკეტს და ფიქრობენ იმაზე, თუ როგორ მოახდინონ ამ მონაცემების გადაყვანა სათანადო ქმედებებსა და პოლიტიკაში.

საზოგადოებრივი აზრის კვლევების მიმართ პოლიტიკური პარტიების მხრიდან გამოხატული სკეპტიკური დამოკიდებულება, ალან გილამმა პოლიტიკური პარტიების პოლიტიკური კომუნიკაციის თვალსაზრისით ტაქტიკურ მიდგომას დაუკავშირა. მისი განცხადებით, პოლიტიკური პარტიები იწონებენ კვლევის შედეგებს, როდესაც ის მათთვის მისაღებია და აკრიტიკებენ, როდესაც შედეგები არ შეესაბამება მათ პოლიტიკურ დღის წესრიგს. კვლევებისადმი საზოგადოების ნდობის გაზრდისთვის, მომხსენებელმა ხაზი გაუსვა კვლევითი ორგანიზაციების მხრიდან საზოგადოებასთან, მედიასთან და პოლიტიკოსებთან მუდმივი თანამშრომლობის და კვლევის მეთოდოლოგიის შესახებ მეტი ინფორმაციის მიწოდების საჭიროებას.

პანელის მესამე მოხსენების ავტორი იყო დოქტ. **ნინო ჯაფარიძე**, რომელიც, ასევე, შეეხო საზოგადოებრივი აზრის კვლევების მიმართ უნდობლობის პრობლემას და აღნიშნა, რომ საქართველოში კვლევების მიმართ კრიტიკისა და უნდობლობის მიზეზი ისაა, რომ ქვეყანაში ჯერ კიდევ ყველას სიღრმისეულად არ ესმის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, რომ კვლევის ყველა ეტაპი იყოს დამოუკიდებლად განხორციელებული. მისი განცხადებით, კვლევის დამოუკიდებლობის პროცესი იწყება კვლევის დიზაინის შემუშავებიდან მასალების დამუშავების და ანალიზის ჩათვლით.

ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ კრიტიკის მიუხედავად, მნიშვნელოვანია, თავად ორგანიზაციები, რომლებიც კვლევას ატარებენ დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მთელი კვლევის ეტაპი განხორციელებული იყო სწორი მეთოდით. ამასთან, მან განაცხადა, რომ ორგანიზაციებმა არასდროს არ უნდა აირჩიონ მხარე, მაშინაც კი, როდესაც კვლევის დამკვეთი პოლიტიკური პარტიაა. კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც ნინო ჯაფარიძე თავის გამოსვლაში შეეხო, პოლიტიკური პარტიების მხრიდან კვლევების ჩატარების პრაქტიკა იყო. მან აღნიშნა, რომ პოლიტიკური პარტიები, ხშირ შემთხვევაში, არ ენდობიან დამოუკიდებლად ჩატარებულ კვლევებს, რადგან შიდა კვლევების შედეგები მათ სულ სხვა სურათს უჩვენებს და ისინი ყოველთვის ეძებენ მიზეზს, თუ რატომ არ მიიღეს ის პროცენტი, რასაც მოელოდნენ. ამასთან დაკავშირებით, ნინო ჯაფარიძემ ხაზი გაუსვა საზოგადოებრივი კვლევის ჩატარების დროს სამეცნიერო მეთოდოლოგიის გამოყენების აუცილებლობას. მისი აზრით, პოლიტიკური პარტიების და კვლევითი ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ გამოკითხვების შედეგებს შორის დიდი სხვაობა განპირობებულია იმით, რომ პოლიტიკური პარტიები არ მუშაობენ იმ სპეციალისტებთან, რომლებსაც დამოუკიდებელი კვლევის მეთოდოლოგია სიღრმისეულად ესმით. საზოგადოებრივი აზრის კვლევების მიმართ ნდობის გაზრდის პერსპექტივასთან დაკავშირებით, ნინო ჯაფარიძის აზრით, საქართველოში წარმოდგენილი სხვადასხვა ორგანიზაციების მხრიდან აქტიური მუშაობა და უფრო მეტი ინფორმაციის მიწოდება საზოგადოებისთვის მათი პროფესიის მიმართ ნდობას გაზრდის.

პანელის ბოლო მომხსენებელმა, **ნინო დოლიძემ**, თავისი გამოსვლის შესავალ ნაწილში კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი საზოგადოებრივი აზრის კვლევების ჩატარების მიზანს. მისი განცხადებით, არასაარჩევნო პერიოდში ჩატარებული კვლევების სამიზნე აუდიტორიას ძირითადად პოლიტიკური პარტიები, პოლიტიკოსები და სახელმწიფო ინსტიტუტები წარმოადგენენ და ამგვარი კვლევების ჩატარების ამოცანას ამომრჩევლის საჭიროებებსა და ამა თუ იმ საკითხზე არსებული განწყობების შესახებ პოლიტიკოსებისთვის ინფორმაციის მიწოდება წარმოადგენს, რათა მათ უკეთ აწარმოონ საკუთარი საარჩევნო კამპანია თუ, ზოგადად, ინსტიტუციური განვითარება.

ნინო დოლიძემ ხაზი გაუსვა, რომ არასაარჩევნო პერიოდში ჩატარებული კვლევებისგან განსხვავებით, უშუალოდ არჩევნების წინ ჩატარებული კვლევები, ე.წ. ეგზიტპოლები, მიზნად ისახავს არჩევნების შედეგების საარჩევნო ადმინისტრაციაზე სწრაფად დათვლას და ამგვარი კვლევის სამიზნე აუდიტორია მთლიანად ამომრჩეველია. ნინო დოლიძე, ასევე,

შეეხო პოლიტიკური პარტიების რეიტინგის საკითხს და აღნიშნა, რომ წინასაარჩევნო პერიოდში გაზომილი პოლიტიკური პარტიების რეიტინგები არ შეიძლება იყოს არჩევნების შედეგებთან ახლოს, რადგან კვლევითი ორგანიზაციები მხოლოდ წინასწარ განწყობებს აჩვენებენ დროის მოცემულ მონაკვეთში და ის, შეიძლება, საარჩევნო კამპანიიდან გამომდინარე, შეიცვალოს.

კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც ნინო დოლიძე შეეხო, საზოგადოებრივი კვლევების მიმართ არსებული უნდობლობის პრობლემა იყო და ამის მიზეზებზე მან ქართული პერსპექტივიდან ისაუბრა. დოლიძის აზრით, კვლევების მიმართ საზოგადოების უნდობლობა დამოკიდებულია იმ მხარეებზე, რომლებიც ამომრჩეველს კვლევის შედეგების შესახებ ინფორმაციას აწვდიან. მან აღნიშნა, რომ საქართველოში პოლიტიკა და ზოგადად პოლიტიკური პროცესები ძალიან პოლარიზებულია და პოლიტიკური პარტიების მხრიდან კვლევებიც ისე წარმოჩინდება, როგორც ინტერესიც ამ პოლიტიკურ პარტიებს გააჩნიათ. მისი განცხადებით, ძალიან ხშირია შემთხვევა, როდესაც ერთი და იგივე პოლიტიკური პარტია NDI-ის თუ IRI-ის კვლევებს ხან პოზიტიურად აფასებს და ხან ნეგატიურად, იქიდან გამომდინარე, თუ რა ტიპის შედეგები აქვს ამ კონკრეტულ პოლიტიკურ პარტიას კვლევების მიხედვით.

მისი აზრით, მთავარი პრობლემა ის, რომ სპეციფიკური ცოდნის გარეშე ამომრჩეველი კვლევის შედეგებს დამოუკიდებლად ვერ ასხვავებს და რომელ პოლიტიკოსსაც უსმენს, მისი დამოკიდებულებებიც ამ კვლევასთან დაკავშირებით ანალოგიურია და ეს განაპირობებს კვლევისადმი ნდობასა თუ უნდობლობას. ამ პრობლემიდან გამომდინარე, დოლიძემ ხაზი გაუსვა მედიის როლს და აღნიშნა, რომ მედიის საშუალებით ამომრჩეველმა კვლევების შედეგების შესახებ სრული სურათი უნდა მიიღოს და მხოლოდ პოლიტიკოსების მხრიდან მიღებული ინფორმაცია არ უნდა იყოს საკმარისი კვლევის შესაფასებლად. თუმცა, ნინო დოლიძემ, ასევე, ხაზი გაუსვა მედიის პოლარიზაციის პრობლემას, რომელიც, მისი აზრით, საზოგადოებრივი აზრის კვლევების მიმართ მოქალაქეთა უნდობლობას უფრო აღრმავებს. მისი განცხადებით, ქართულ რეალობაში ხშირია სხვადასხვა მედიასაშუალებების მხრიდან ერთი და იგივე თემის სხვადასხვა კუთხით გაშუქების პრაქტიკა და ეს ამომრჩევლის მხრიდან კვლევების მიმართ ნდობაზე ნეგატიურად აისახება.

ქართველი ამომრჩევლის მხრიდან პოლიტიკური პრეფერენციების შესახებ საუბრისგან თავის შეკავების პრობლემა იყო კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც ნინო დოლიძე შეეხო. დოლიძის განცხადებით, ეს არის საქართველოს პოლიტიკური კულტურის ნაწილი, როდესაც ამომრჩეველს არ სურს ხმამაღლა ისაუბროს თუ რომელ პოლიტიკურ პარტიას უჭერს მხარს და ამის მიზეზი შეიძლება დაკავშირებული იყოს შიშებთან, რომ თუ დააფიქსირებს თავის არჩევანს, ეს შეიძლება ნეგატიურად აისახოს მის ცხოვრებაზე. აქედან გამომდინარე „არ ვიცი პასუხი“ ძალიან ხშირია პოლიტიკური პარტიების რეიტინგებთან დაკავშირებით და მოქალაქეების მხრიდან პასუხზე თავის შეკავება არის ერთადერთი შემაფერხებელი გარემოება, რის გამოც პოლიტიკური

პარტიების რეიტინგების ნაწილი, შესაძლოა, გარკვეულ უზუსტობას შეიცავდეს და არა ის, რომ თავად კვლევას შეიძლება ჰქონდეს რაიმე პრობლემა, აღნიშნა ნინო დოლიძემ. საზოგადოებრივი აზრის კვლევების მიმართ მოსახლეობის ნდობის გაზრდის მიზნით, მომხსენებელმა გამოკვეთა კვლევითი ორგანიზაციების მხრიდან უშუალოდ მოქალაქეებისთვის ინფორმაციის სწორად მიწოდების აუცილებლობა.

გამოსვლებს მოჰყვა **დისკუსია** კითხვა-პასუხის რეჟიმში, რომლის ფარგლებშიც დამსწრეებმა დასვეს შეკითხვები პანელზე წარმოდგენილი ორგანიზაციების მიერ კვლევაში გამოყენებული მეთოდოლოგიების და მათ შორის არსებული განსხვავებების შესახებ. ასევე, საზოგადოებრივი აზრის კვლევების შესახებ მოქალაქეთა ნდობის გაზრდის მიზნით მედიის როლსა და კვლევების მიმართ სხვა ქვეყნებში არსებულ ნდობის ხარისხთან დაკავშირებით. პანელის მონაწილეებს, ასევე, დაუსვეს შეკითხვა, თუ რა არის მათი ძირითადი მექანიზმები კვლევის შედეგების მანიპულაციის წინააღმდეგ.

კითხვა-პასუხის რეჟიმში, პანელის მონაწილეებმა კიდევ ერთხელ გაუსვეს ხაზი, რომ მათი მეთოდოლოგია ერთმანეთისგან განსხვავდება, მაგრამ იმისთვის, რომ კვლევის შედეგების მთლიან მოსახლეობაზე განზოგადება მოახდინონ, ყველა მათგანი იყენებს სტატისტიკური წარმომადგენლობითობის მეთოდს. ამასთან, პანელის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ისინი ბევრს მუშაობენ კითხვების ფორმულირებაზე, რათა თავიდან აიცილონ კვლევის შედეგების ტენდენციურობა. გარდა ამისა, პანელის მონაწილეებმა კიდევ ერთხელ აღნიშნეს, რომ კვლევის სანდოობისთვის და მანიპულაციის თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია, კვლევა იყოს სწორი მეთოდოლოგიით ჩატარებული და ხაზი გაუსვეს მედიისთვის მეთოდოლოგიის შესახებ ინფორმაციის მიწოდების საჭიროებას, რათა არ მოხდეს კვლევის შედეგების არასწორი კუთხით ინტერპრეტირება.

პანელი III: პოპულისტური ნაციონალიზმი და ევროსკეპტიციზმი: წარმოსახვითი თუ რეალური საფრთხე ასოცირებული ქვეყნებისათვის?

16 ივნისი, 2021

მოდერატორი:	დოქტ. სტეფან მაისტერი , ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი, სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ოფისი.
მომხსენებლები:	<ul style="list-style-type: none">• ანა მედვედევა, მკვლევარი, ახალი ევროპის ცენტრი, კიევი;• თამთა გელაშვილი, ოსლოს უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა განყოფილების დოქტორანტი;• დენის ცენუზა, მკვლევარი, პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტი, იუსტუს-ლიბიგის უნივერსიტეტი.

პანელზე დისკუსია შემდეგი ძირითადი შეკითხვების ირგვლივ წარიმართა:

- რა არის მთავარი პოპულისტური დისკურსები და ნატარივები საქართველოში, უკრაინასა და მოლდოვაში?
- რამდენად დიდია პოპულისტი აქტორების გავლენა და რა სტრატეგიებს იყენებენ ისინი?
- რა გავლენა აქვს პოპულიზმს ამ ქვეყნების დემოკრატიზაციაზე?
- რამდენად აყალიბებენ პოპულისტი აქტორები/დისკურსები ძირითადი პარტიების/მთავრობის დღის წესრიგს?
- რა გავლენა აქვს პოპულიზმს საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის ევროკავშირში ინტეგრაციასა და ევროპეიზაციაზე?
- რამდენად აძლიერებენ გარე აქტორები პოპულისტ აქტორებს/დისკურსებს აღნიშნულ ქვეყნებში?

პანელის პირველი მომხსენებელი იყო **ანა მედვედევა**, კიევის ახალი ევროპის ცენტრის მკვლევარი. მან თავის მოხსენებაში პასუხი გასცა კონფერენციის მთავარ შეკითხვას, წარმოადგენს თუ არა ნაციონალური პოპულიზმი მნიშვნელოვან პრობლემას უკრაინის დემოკრატიული განვითარებისა და ქვეყნის ევროპული მისწრაფებებისთვის.

ანა მედვედევამ წარადგინა თავისი კვლევა, რომელიც უკრაინის ნაციონალისტურ პოპულისტურ ჯგუფებს შეეხება და ისაუბრა რუსული ნაციონალიზმის გავლენაზე უკრაინაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე, მათ შორის ყირიმსა და დონბასის ოკუპირებულ ნაწილებში არსებულ მანიფესტაციებზე.

უკრაინაში მოქმედ ძირითად აქტორებზე საუბრისას, მედვედევამ ხაზი გაუსვა, რომ უკრაინელი ნაციონალისტი პოპულისტები, შესაძლოა, რამდენიმე კატეგორიად დაჯგუფდნენ: პოლიტიკური პარტიები, ქუჩის მოძრაობები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ულტრამემარჯვენე ჯგუფებთან აფილირებული და დონბასში მიმდინარე დაპირისპირებაში ჩართული ბატალიონები.

მან დაამატა, რომ უკრაინაში რუსი ნაციონალისტების დიდ ნაწილს შეადგენენ ისინი, ვინც ქვეყანაში დაახლოებით 2014 წელს ჩავიდნენ რუსეთის ხელისუფლების შესახებ გამოთქმული მოსაზრებების შედეგად დევნის ან/და დონბასის დაპირისპირებაში მონაწილეობის გამო. მედვედევამ ასევე აღნიშნა, რომ ზოგიერთი პოლიტიკური პარტია ხელს უწყობს რუსული ნაციონალიზმის გაღრმავებას.

ანა მედვედევას მიხედვით, რევოლუციამ, რუსეთის აგრესიამ უკრაინაში და შედეგად პატრიოტიზმის ზრდამ მნიშვნელოვნად განაპირობა პოპულისტური ნარატივების პოპულარიზაცია, მათ შორის, უკრაინის სუვერენიტეტის დაცვა და ეროვნული იდენტობის შენარჩუნება. მან დაამატა, რომ, გარდა ამისა, მათ სხვა პოპულარულ დისკურსებს შორისაა: ჰომოფობია, ბოშების კრიტიკა, „სამართლიანობის აღდგენის“ და „ქუჩაში წესრიგის დამყარების“ ნარატივები, რომლებიც, ზოგადად, დამახასიათებელია ქვეყნებისთვის, რომლებიც კანონის უზენაესობის პრობლემების წინაშე დგანან.

მედვედევამ ხაზი გაუსვა, რომ რუსული ნაციონალიზმის ნარატივები რუსეთს, უკრაინასა და ბელარუსს საერთო სლავური ოჯახის ქოლგის ქვეშ ათავსებს. მისი დაკვირვებით, (1) იმ დაჯგუფებების წარმომადგენლები, რომლებიც რუსულ ნარატივებს ავრცელებენ, ხელს უწყობენ უკრაინაში რუსული ენის სტატუსის გაძლიერებას, რუსეთთან ურთიერთობების აღდგენას და დონბასში მშვიდობის დამყარებას უკრაინის ეროვნული ინტერესებისთვის მიყენებული ნებისმიერი ზიანის ფასად; (2) ისინი ცდილობენ უკრაინის სახელმწიფოებრიობისთვის ძირის გამოთხრას და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ უკრაინის შესაძლებლობას, იარსებოს დამოუკიდებლად, რუსეთის გარეშე; (3) აქტიურად უჭერენ მხარს რუსული პროპაგანდის ნარატივს, რომლის მიხედვითაც, უკრაინაში ილახება რუსულენოვანი უკრაინელების უფლებები; (4) ხელს უწყობენ მათი აღქმით ტრადიციული ღირებულებების გავრცელებას და კრიტიკული პოზიცია აქვთ სექსუალური უმცირესობების მიმართ.

რაც შეეხება, ევროსკეპტიციზმს, როგორც მედვედევამ განმარტა, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი უკრაინული ნაციონალისტურ-პოპულისტური ჯგუფი აცნობიერებს ქვეყნის ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებულ უპირატესობებს უსაფრთხოების სფეროში, ისინი მაინც მნიშვნელოვნად ეწინააღმდეგებიან ევროპულ ღირებულებებს. მან დაამატა, რომ უკრაინელმა ნაციონალისტმა პოპულისტებმა, რიგ შემთხვევებში, შესაძლოა, უგულვებელყონ ისეთი საბაზისო ადამიანის უფლებები, როგორცაა სიტყვისა და მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება, ხელი შეუწყონ

ოპონენტებთან კომუნიკაციისას ძალადობრივი ფორმების გამოყენებას და თავს დაესხან სხვა ადამიანებს მათი განსხვავებული იდენტობისა და შეხედულებების გამო.

რაც შეეხება, აღნიშნული ჯგუფების გავლენას, ანა მედვედევამ ისაუბრა ნაციონალისტური პარტიების მიერ სხვადასხვა არჩევნებში მიღებულ მხარდაჭერაზე. მან ხაზი გაუსვა, რომ ნაციონალისტურ პოპულისტურ პარტიებს არ მიუღწევიათ რაიმე მნიშვნელოვანი საარჩევნო წარმატებისთვის 2012 წლის შემდეგ, როდესაც პარტია „თავისუფლებამ“ ხმების 10.4% მიიღო. მედვედევამ განმარტა, რომ ამჟამად, მათი მაქსიმალური მხარდაჭერა საპარლამენტო არჩევნებში 3%-ზე ნაკლებია, ხოლო იგივე მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალია ადგილობრივ არჩევნებში და მხოლოდ 1-2%-ს შორის მერყეობს.

რაც შეეხება, რუსული ნაციონალიზმის მხარდამჭერებს, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ უკრაინული პარტიების მიერ გავრცელებულმა რუსული ნაციონალიზმის ნარატივმა ამ დროისთვის 20%-იანი მხარდაჭერა მოიპოვა და ფართოდ მოიცვა მათი მედია. მან ასევე ხაზი გაუსვა მნიშვნელოვან ფაქტს, რომ ზელენსკის პარტიის მიმართ საზოგადოების მხარდაჭერა თანდათან მცირდება, ხოლო პრორუსული ქვეყნების მიმართ მხარდაჭერა კი, თუმცა მხოლოდ უკრაინის კონკრეტულ რეგიონებში, მნიშვნელოვნად არ გაუარესებულა. ანა მედვედევამ გამოხატა თავისი პოზიცია უკრაინული და რუსული პოპულიზმის პოტენციურ საფრთხეებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ამან, შესაძლოა, უარყოფითად იმოქმედოს უკრაინის დემოკრატიულ განვითარებასა და ევროინტეგრაციის პერსპექტივებზე. თუმცა, მან ასევე აუდიტორიას გააცნო საკუთარი მიგნებები და აღნიშნა, რომ ძალიან დიდი სხვაობაა აღნიშნული ორი ფენომენის ძირითად მიზნებს, მასშტაბებსა და დემოკრატიულ პროგრესზე საბოლოო გავლენასა და მათ საარჩევნო მხარდაჭერას შორის. ამავდროულად, მედვედევამ ხაზი გაუსვა, რომ ის აცნობიერებს, თუ რამდენად სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს უკრაინისთვის ულტრამემარჯვენე ჯგუფების მიერ ჩადენილი სიძულვილის დანაშაულისა და თავდასხმების არასათანადო გამოძიება. განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყნის ევროატლანტიკური პერსპექტივა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად წარმატებულად შეძლებს უკრაინა დემოკრატიის პრინციპების დაცვას, ფუნდამენტური თავისუფლებების პატივისცემასა და კანონის უზენაესობის აღსრულებას.

ღონისძიების მეორე მომხსენებელმა **თამთა გელაშვილმა**, თავის პრეზენტაციაში აქცენტი საქართველოში ნაციონალისტურ პოპულიზმზე გააკეთა. მისი თქმით, როდესაც ვლადპარაკობთ ნაციონალისტურ პოპულიზმზე, არა მარტო საქართველოში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც, ამ საუბარს რამდენიმე სირთულე ახლავს თან. მან აღნიშნა, რომ სიტყვა “პოპულიზმს” იმდენად ხშირად იყენებენ და იმდენად ბევრ რამეს შეიძლება მიესადაგებოდეს, რომ, საბოლოო ჯამში, ბევრს არაფერს ამბობს. აქტორები, რომლებიც ულტრამემარჯვენე ფრთის ნაწილი არიან, ძალიან ხშირად იცვლიან შეხედულებებს, ფორმატს, იდეოლოგიას და ასე შემდეგ. ასე რომ, ის, ვინც დღეს შეიძლება მიიჩნეოდეს ნაციონალისტ პოპულისტად, ხვალ, შესაძლოა ექსტრემისტ, მემარჯვენედ

მოგვევლინოს. მაგალითისთვის მან 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები მოიყვანა და დააზუსტა, რომ „ქართულმა იდეამ“ და „ქართულმა მარშმა“ წინასაარჩევნოდ თავიანთი პოზიციები შეარბილეს. როგორც თამთა გელაშვილმა ახსნა, თუ მანამდე თეოკრატიას ემხრობოდნენ, მათ შეიცვალეს ხედვები და იმხელა პრობლემა აღარ აქვთ დემოკრატიასთან, როგორც ლიბერალურ წესრიგთან და ასევე ლგბტ თემთან/უმცირესობებთან.

შეკითხვაზე, თუ რა აერთიანებს ამ პარტიებს, თამთა გელაშვილმა აღნიშნა, რომ მათ აერთიანებთ ნაცივიზმი. ნაცივიზმი არის ნაციონალიზმის უფრო ვიწრო ფორმა, რომლის ძირითადი არსი არის დაპირისპირება ორ განსაზღვრულ ვიწრო ჯგუფს - ადგილობრივებს და უცხოებს შორის. როგორც მან ახსნა, ეს არის ყველაფერ უცხოთან წინააღმდეგობა. ადგილობრივებში იგულისხმება ეთნიკურად ქართველები, მართლმადიდებელი ქრისტიანები, ჰეტეროსექსუალები, ქალები და კაცები. ხოლო ამ ვიწროდ განსაზღვრული ჯგუფის მიღმა მათთვის ყველაფერი უცხოა.

თამთამ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ნაცივიზმს ხშირად თან ახლავს ეთნონაციონალიზმი. ეს ორი იდეოლოგია ხშირად ერთობლივად გვხვდება ხოლმე. ეთნონაციონალიზმი შინაარსობრივად ახლოსაა ნაცივიზმთან. თუმცა, აქ მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ეთნონაციონალიზმის შემთხვევაში მიჩნეულია, რომ სხვადასხვა ეროვნებები ერთმანეთისგან განცალკევებულები უნდა არსებობდნენ, იმ მიზნით, რომ მათი კულტურული იდენტობა და უნიკალური თავისებურებები არ დაიკარგოს.

თამთა გელაშვილმა ახსნა, რომ აღნიშნული შეხედულებების დროში გარდაქმნა ხდება. ადრე, ეკონომიკური ფაქტორები იყო ძირითადი მნიშვნელობის, შემდეგ კი ის სოციო-კულტურულმა ფაქტორებმა გადაწონა. როდესაც სოციო-კულტურულ ფაქტორებზე საუბრობენ, ძირითადი ყურადღება ექცევა ემოციურ ფაქტორებს და არა ფაქტებს, მათ შორის კი ყველაზე ძლიერი არის ხოლმე შიშის ფაქტორი.

მომხსენებელმა, ასევე, აღნიშნა, რომ როდესაც „ქართული მარში“ დაარსდა, მათივე თქმით, დაჯგუფების მიზანი იყო მიგრაციის პრობლემის მოგვარება და მათი კამპანია აგებული იყო მიგრაციის მიმართ შიშზე. ანალოგიური შეიძლება ითქვას ლგბტ თემასთან დაკავშირებით, როდესაც ანტი-ლგბტ აქციები მიემართება არა უფლებებს და თავისუფლებებს, არამედ იმას, რომ მათ მიმართ დისკრიმინაციის ხელის შეშლა გამოიწვევს სხვადასხვა დამატებით პრობლემებს. მაგალითისთვის, მან თქვა, რომ „ქართული იდეა“ თესავდა პედოფილიისა და ინცესტის დაკანონების, ასევე გეი ქორწინებისა და გადაგვარების შიშს. პოპულისტური ნაციონალისტების შემთხვევაში, ყველაფერს ამას ემატება წინააღმდეგობა ხალხსა და ელიტებს შორის. მისი თქმით, ხალხში მოიაზრებიან ისინი, ვინც ადგილობრივების კატეგორიაში გადიან, ისინი, ვინც ყველაზე დიდ საფრთხეში არიან ყველა ამ პროცესის შედეგად. ხოლო ელიტებში კი იგულისხმებიან ის ადამიანები, ვინც მიგრანტები შემოუშვა ქვეყანაში და, შესაბამისად, ხალხი საფრთხის წინაშე დააყენა. ამგვარად, მან ახსნა, რომ პოპულისტები თავის თავს წარმოადგენენ

ერთგვარ მხსნელებად, რომლებმაც ხალხი კორუმპირებული ელიტების ინტერესებისგან უნდა დაიცვან.

რაც შეეხება პოლიტიკურ პროცესებზე გავლენას, თამთა გელაშვილის დაკვირვებით, საქართველოში მხოლოდ ერთ ამგვარ პარტიას ჰქონია აქამდე პარლამენტის ტრიბუნიდან მუშაობის გამოცდილება. მისი თქმით, არასაპარლამენტო ულტრანაციონალისტური ძალები გარედან ირიბად ცდილობენ გავლენის მოხდენას და ძირითად საპარლამენტო პარტიებთან კავშირებით გარკვეული საკანონმდებლო ინიციატივების გატანას. თუმცა, იგი მიიჩნევს, რომ საქართველოს რეგიონებში მცხოვრები ადამიანები უფრო მოწყვლადი არიან აღნიშნული თემების მიმართ. მისი დაკვირვებით, ამის გამომწვევი ძირითადი მიზეზებია ეთნონაციონალიზმი, სუსტი პოლიტიკური სისტემა და დაბალი საზოგადოებრივი ინსტიტუტებისადმი. შესაბამისად, მათი ნარატივები მაინც მოქმედებს საზოგადოებაზე.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ, ღონისძიების მოდერატორმა შეაჯამა მეორე მოხსენება და დასვა შეკითხვა, მიუღწევიათ თუ არა წარმატებისთვის აღნიშნულ ულტრამემარჯვენე ძალებს დისკურსულ დონეზე? თამთას მოსაზრებით, მათ ახასიათებთ ისეთი ქმედებები, რომლის შედეგადაც ეტაპობრივად იცვლება საზოგადოებრივი აზრი და მთელი პოლიტიკური სპექტრი დროთა განმავლობაში მარჯვნივ ინაცვლებს. მისი ახსნით, 2020 წლის არჩევნებში „პატრიოტთა ალიანსის“ მხარდაჭერის დაბალი პროცენტული მაჩვენებელი შესაძლოა იმანაც განაპირობა, რომ ხმები „ქართულ მარშს“ და „ქართულ იდეას“ შორის გადანაწილდა. მათი გავლენა ყველაზე მეტად ლგბტ უფლებებთან მიმართებაში არსებობს და მოქალაქეთა მხარდაჭერის მოპოვებას ძირითადად ამ თემით ცდილობენ.

ღონისძიების ბოლო მომხსენებელი იყო **დენის ცენუზა**, იუსტუს-ლიბიგის უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის მკვლევარი. მან ისაუბრა მოლდოვაში ულტრამემარჯვენე პოპულისტური მოძრაობების დისკურსზე. მისი თქმით, მოლდოვის სიტუაცია განსხვავდება დანარჩენი ორი ქვეყნისგან. მან დასაწყისშივე განმარტა, რომ მოლდოვაში ძირითადი აქტორები არიან როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე პოპულისტური პარტიები. მისი გადმოსახედიდან, აღნიშნული პარტიები უფრო პოპულისტები არიან, ვიდრე ნაციონალისტები. ხოლო ყველაზე მნიშვნელოვანი აქტორები, რომლებიც ნაციონალისტურ დისკურსს ავრცელებენ არიან: (1) მოლდოვის მართლმადიდებელი ეკლესია, რომელზეც რუსეთის გავლენა დიდია; (2) სამოქალაქო ორგანიზაციები, რომლებიც კორუმპირებულ ელიტას წარმოადგენენ. ასეთ ორგანიზაციებზე გავლენა აქვთ ისეთ პოლიტიკურ აქტორებს, რომლებიც პოპულისტურ დისკურსს ავრცელებენ კორუმპირებული ელიტიზმის წინააღმდეგ, მაგალითად კორუმპირებული მოსამართლეები, პროკურორები და სხვა; (3) და მედია, რომელსაც პოპულისტური პოლიტიკური პარტიები ხშირად თავიანთი პოლიტიკური ხედვების გასავრცელებლად იყენებენ.

დენის ცენზუამ გამოყო რამდენიმე დამახასიათებელი ნარატივი, რასაც პოპულისტები მოლდოვაში ავრცელებენ. პირველი, ეს არის მოლდოვის იდენტობის უპირატესობის ჩვენება და რუმინეთისა და მოლდოვის იდენტობების გაერთიანების წინააღმდეგ ნარატივების გავრცელება. მეორე, რაც მათ მესიჯებში ჩანს, არის ღირებულებების თემა, რაც გულისხმობს ლიბერალური ღირებულებების შეპირისპირებას კონსერვატიულ ტრადიციონალისტურ ღირებულებებთან; აქ განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ჰომოფობიაზე. იდეოლოგიური ფაქტორი არის ერთ-ერთი, რომლის გარშემოც პოპულისტი ლიდერები თავიანთ დისკურსს ქმნიან. ცენზუას თქმით, ეს არის ანტი-ელიტისტური ნარატივები, რომელთა სამიზნეები არიან კორუმპირებული მოსამართლეები, პროკურორები და პოლიტიკოსები. ისინი ასევე ილაშქრებენ იმ არასამთავრობო ორგანიზაციების წინააღმდეგ, რომლებიც ევროინტეგრაციის საკითხებზე მუშაობენ; მათი სამიზნეა ასევე დიასპორა, რომლის საშუალებითაც ისინი აღვივებენ „ჩვენ“ და „ისინი“ დისკურსს, რათა წარმოშვან კრიტიკა მათ მიმართ, ვინც ტოვებს მოლდოვას. გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, მომხსენებელმა, ასევე, გამოყო პანდემიის ფაქტორი. მან პარალელები გაავლო საქართველოსთან და აღნიშნა, რომ ისევე, როგორც საქართველოში, მოლდოვაშიც დაბალია მთავრობის მიმართ ნდობა. მან აღნიშნა, რომ მოლდოვაში ყველა ცდილობს თავიდან აირიდოს კრიზისზე პასუხისმგებლობა და, შესაბამისად, საზოგადოებაში ჩნდება ბრაზი ხელისუფლების მიმართ ვაქცინაციასთან და, ზოგადად, პანდემიური კრიზისის მართვასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, ვაქცინაციის საკითხს პოპულისტები თავისი ინტერესებისთვის იყენებენ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამგვარი ჯგუფები გარკვეულ ზეგავლენას ახდენენ საზოგადოებრივ დღის წესრიგზე. მისი შეფასებით, ისინი არ არიან ძალიან ძლიერები დისკურსის გავრცელებაში. მან ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ პოპულისტები ძირითადად ჩნდებიან მაშინ, როდესაც წინასაარჩევნო პროცესი იწყება. სახელმწიფოში შექმნილია გარკვეული ჩარჩო, რომლითაც ხელისუფლება ცდილობს აღნიშნული ნარატივების ჩახშობას, განსაკუთრებით როცა ეს პოპულისტური ჯგუფები ცდილობენ მოსახლეობა აღმოსავლეთის და დასავლეთის მომხრეებად, ან პრორუსებად და ანტირუსებად დაყონ. მან ასევე ხაზი გაუსვა, რომ პოპულისტები ხშირად თავიანთი ნარატივების გასავრცელებლად 9 მაისს იყენებენ.

მომხსენებელმა თავისი ძირითადი მიგნებები რამდენიმე საკითხად ჩაშალა. პირველი, რაზეც მან აქცენტი გააკეთა, არის ის, რომ მოლდოვაში პოპულიზმისთვის სუსტი სოციო-ეკონომიკური გარემოა; მეორე ის, რომ პოლიტიკური პარტიები არიან მთავარი აქტორები, რომლებიც პოპულისტურ დისკურსს არიან ამოფარებულები და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების გავლით ცდილობენ ზეგავლენის გაზრდას. ნაციონალური პოპულიზმი მარგინალიზებულია და მთლიანად პოპულიზმითაა ჩანაცვლებული. პოპულისტური დისკურსი ასევე გამოყენებულია მთავრობის წინააღმდეგაც; და ბოლოს, ევროპული ინტეგრაცია წარმოადგენს მთავარ სამიზნეს პოპულისტებისთვის, რომლებიც ცდილობენ საჯარო სფეროების ხელახლა გასაბჭოებას.

მისი თქმით, მნიშვნელოვანია ყურადღება მივაქციოთ, როგორია მათი დაფინანსება, როგორია მათი ნდობა საზოგადოებაში.

მოხსენებების დასრულების შემდეგ, გაიმართა **დისკუსია** კითხვა-პასუხის რეჟიმში. შეკითხვები ძირითადად შეეხებოდა ეკლესიის როლს ნაციონალი პოპულისტების ნარატივების გავრცელების პროცესში; არჩევნების შედეგებზე დაყრდნობით, ასეთი ჯგუფებისა თუ პოლიტიკური პარტიების პოლიტიკურ პერსპექტივას; და აღნიშნული ჯგუფების დამოკიდებულებებს სოციალური საკითხების მიმართ.

თამთა გელაშვილმა ძირითადად პასუხი გასცა ეკლესიის მხრიდან ამ ჯგუფების მხარდაჭერის საკითხთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვაზე და აღნიშნა, რომ ხშირად ხდება იმის გარშემო საუბარი, რომ მათ აქვთ კავშირები ეკლესიასთან. თუმცა თამთამ აქვე დაამატა, რომ დაზუსტებით ამის თქმა არ შეიძლება. მან ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ მათ ქმედებებში ზოგჯერ თანხვედრა შეინიშნება. თუმცა, როდესაც მათი მხრიდან ლგბტ თემის ან სხვა მათთვის მიუღებელი ჯგუფების მიმართ რაღაც ძალადობრივი ხდება, ეკლესია ხშირად ამბობს, რომ გამოწვევა, პროვოცირება მოხდა პირველი ჯგუფის მხრიდან.

ეკლესიის როლზე ასევე ისაუბრა დენის ცენუზამაც და ახსნა, რომ ეკლესია მოლდოვაში ძალიან პოპულარულია, დიდი მხარდაჭერა აქვს და, შესაბამისად, დისკურსი, რომელსაც ეკლესია გვთავაზობს, ყოველთვის მნიშვნელოვანია. დენის ცენუზამ კითხვა-პასუხის სესიის დროს განსაკუთრებული აქცენტი გააკეთა იმაზე, რომ ყველა პოპულისტი აქტორი მაინც და მაინც ნეგატიურ კონტექსტში არ უნდა განვიხილოთ. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ ანტი-ელიტისტური პოლიტიკური ძალები ასევე პოპულისტები არიან, თუმცა ისინი კორუმპირებული ელიტისტური ძალების წინააღმდეგ იბრძვიან.

ანა მედვედევამ საკუთარ პასუხში, ძირითადად, ყურადღება აღნიშნული ჯგუფების საერთაშორისო კავშირებზე გაამახვილა და აღნიშნა, რომ მათ ჰყავთ პოტენციური პარტნიორები ევროპის სახელმწიფოებში და სხვა ქვეყნებში, რომლებიც არ არიან ლიბერალური წესრიგის მომხრეები. მან ასევე ახსენა, რომ იყო უკრაინის ნაციონალისტურ და საფრანგეთის ულტრამემარჯვენე პარტიებს შორის თანამშრომლობის მცდელობა და შესაბამისი კომუნიკაცია. მისი თქმით, “ეროვნული კორპუსი” არის ერთ-ერთი ასეთი აქტიური პოლიტიკური აქტორი უკრაინაში, რომელიც სხვადასხვა დონეზეა წარმოდგენილი და რომელიც ცდილობს თანამშრომლობის გაღვივებას სხვადასხვა ევროპულ ქვეყანასთან, მათ შორის ბალტიისპირა ქვეყნებთან.

დანართი: კონფერენციის დღის წესრიგი

პანელი I: დაბალი ხარისხის არჩევნები საქართველოში: უკუჩვენები სენი თუ მოგვარებადი პრობლემა?

17:00	პროფ. კორნელი კაკაჩია , დირექტორი, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP)
17:10	პროფ. ჯული ჯორჯი , ასოცირებული პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერებათა დეპარტამენტი, ქუინს კოლეჯი
17:20	დოქტ. ქეთევან ბოლქვაძე , ასისტენტ-პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერებათა დეპარტამენტი, ლუნდის უნივერსიტეტის (შვედეთი)
17:30	ლევან ცუცქერიძე , აღმასრულებელი დირექტორი, აღმოსავლეთ ევროპის მრავალპარტიული დემოკრატიის ცენტრი (EECMD)
17:40	ჯაბა დევდარიანი , დამფუძნებელი, Civil.ge
17:50	დისკუსია

პანელი II: საზოგადოებრივი გამოკითხვები საქართველოში: როგორ უზრუნველყოთ ნდობა?

17:00	პროფ. კორნელი კაკაჩია , დირექტორი, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP)
17:05	ჯონ დიპირო , საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი (IRI)
17:15	ალან გილამი , ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI)
17:25	დოქტ. ნინო ჯაფარიძე , Edison Research
17:35	ნინო დოლიძე , სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED)
17:50	დისკუსია

პანელი III: პოპულისტური ნაციონალიზმი და ევროსკეპტიციზმი: წარმოსახვითი თუ რეალური საფრთხე ასოცირებული ქვეყნებისათვის?

16:00	რენატა სკარჯუტე-კერესელიძე , დირექტორის მოადგილე, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP)
16:10	ანნა მედვედევა , მკვლევარი, ახალი ევროპის ცენტრი, კიევი
16:20	თამთა გელაშვილი , ოსლოს უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა განყოფილების დოქტორანტი
16:30	დენის ცენზუა , მკვლევარი, პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტი, იუსტუს-ლიბიგის უნივერსიტეტი (გერმანია)
16:40	დისკუსია



საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

www.gip.ge